

# საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის

ბრძანება №01

2013 წლის 24 დეკემბერი

ქ. თბილისი

## სადაზღვევო რეზერვების სახეობათა განსაზღვრისა და შექმნის წესის დამტკიცების თაობაზე

„დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლისა და 21-ე მუხლის „მ“ ქვეპუნქტის და 2013 წლის 02 მაისის საქართველოს მთავრობის დადგენილება №102-ის თანახმად დამტკიცებული სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის დებულების მე-3 მუხლის „ო“ ქვეპუნქტის და ამავე დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს სადაზღვევო რეზერვების სახეობათა განსაზღვრისა და შექმნის თანდართული წესი.
2. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სამსახურის უფროსი

ლაშა ნიკოლაძე

## სადაზღვევო რეზერვების სახეობათა განსაზღვრისა და შექმნის წესი

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს წესი განსაზღვრავს სადაზღვევო რეზერვების სახეობებსა და მათი შექმნის წესს.
2. სადაზღვევო რეზერვების შექმნის მიზანია მზღვეველისა და არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლის (შემდგომში – საპენსიო სქემის დამფუძნებელი) ფინანსური სიმყარის უზრუნველყოფა და მათ მიერ აღებული სადაზღვევო და/ან საპენსიო ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება.
3. მზღვეველი ვალდებულია შექმნას სადაზღვევო რეზერვები არასიცოცხლის, სიცოცხლისა და არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევის სახეობებისათვის.
4. საპენსიო სქემის დამფუძნებელი, რომელიც არ წარმოადგენს მზღვეველს, ვალდებულია შექმნას მხოლოდ არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევის რეზერვი ამ წესის შესაბამისად.
5. მზღვეველი და საპენსიო სქემის დამფუძნებელი ვალდებულნი არიან დაიცვან წინამდებარე წესით განსაზღვრული მოთხოვნები შესაბამისი საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე და ლიცენზიის და/ან რეგისტრაციის გაუქმების შემდგომაც, სანამ სრულად არ იქნება გასტუმრებული სადაზღვევო და/ან საპენსიო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებანი კანონმდებლობის შესაბამისად.
6. მზღვეველი ვალდებულია გადაზღვევისა და თანადაზღვევის საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში სადაზღვევო რეზერვები შექმნას წინამდებარე წესის მოთხოვნების შესაბამისად და იმავე მეთოდით, რაც გამოიყენება პირდაპირი სადაზღვევო საქმიანობის შემთხვევაში.
7. მზღვეველი და საპენსიო სქემის დამფუძნებელი ვალდებულნი არიან შეიმუშაონ სადაზღვევო რეზერვების დათვლის მეთოდოლოგია, განხორციელონ კონტროლი ამ წესისა და შიდა ნორმატივის დაცვით შექმნილი სადაზღვევო რეზერვების დათვლის სიზუსტეზე.
8. სადაზღვევო რეზერვების წინამდებარე წესით შექმნის ვალდებულება არ ვრცელდება „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „გ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ფილიალზე (წარმომადგენლობაზე), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზემოაღნიშნული ფილიალი (წარმომადგენლობა) განხორციელებს არასახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფას.

### მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ამ წესის მიზნებისათვის ტექსტში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
  - ა) მოზიდული ნეტო პრემია – მოზიდული პრემიის ოდენობა, რომელიც წარმოადგენს მზღვეველის



საანგარიშო პერიოდის მოზიდული ბრუტო პრემიისა და საანგარიშო პერიოდის გადაზღვევის პრემიის შორის სხვაობას. ამასთან, მოზიდული ბრუტო პრემიისა და გადაზღვევის პრემიის ოდენობების დაანგარიშების დროს გამოიყენება მზღვეველის ფინანსური ანგარიშგებისათვის დადგენილი პარამეტრების განმარტებები და აღრიცხვის პრინციპები;

ბ) განცხადებული ზარალი – დაზღვევის პირობებით გათვალისწინებული რისკების დადგომით გამოწვეული და მზღვეველისათვის განცხადებული ზარალი;

გ) დაურეგულირებელი ზარალი – განცხადებული ზარალი, რომელიც არ არის ან არასრულად არის ანაზღაურებული მზღვეველის მიერ;

დ) ანაზღაურებული ზარალი – მზღვეველის მიერ გადახდილი ზარალი;

ე) საბაზისო პრემია– საბაზო მონაცემი რეზერვის გამოანგარიშებისას;

ვ) აქტუარული დათვლები – მათემატიკური და/ან სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით განხორციელებული დათვლები;

ზ) კაპიტაციის მეთოდი – ანგარიშსწორების ისეთი მეთოდი, როდესაც მომსახურების ანაზღაურება ხორციელდება შეთანხმებული პერიოდულობით, წინასწარ შეთანხმებული თანხების გადახდით, რომელთა ოდენობა დამოკიდებულია მზღვეველის გარკვეულ სადაზღვევო სქემაში გაერთიანებული დაზღვეულების რაოდენობაზე;

თ) პერსპექტიული მეთოდი – დათვლის მეთოდი, როდესაც მზღვეველი ითვალისწინებს სადაზღვევო ხელშეკრულებებთან / პოლისებთან დაკავშირებულ მონაცემებს, რომლებიც მიეკუთვნება მომავალ პერიოდებს (მომავალი საანგარიშო პრემია, მომავალი სადაზღვევო ვალდებულებები და ა.შ.);

ი) რეტროსპექტიული მეთოდი – დათვლის მეთოდი, როდესაც, მზღვეველი ითვალისწინებს სადაზღვევო ხელშეკრულებებთან/პოლისებთან დაკავშირებულ მონაცემებს, რომლებიც მიეკუთვნება წარსულ პერიოდებს (წინა საანგარიშო პერიოდებში მოზიდული პრემია, გადახდილი ზარალები და ა.შ.)

კ) სიცოცხლის დაზღვევის მაგროვებადი და დაბრუნებადი სახეობები – სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებები/პოლისები, რომლებიც სიცოცხლის დაზღვევასთან ერთად საინვესტიციო ხასიათსაც ატარებენ.

### **მუხლი 3. სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურში წარსადგენი ინფორმაცია**

1. მზღვეველი და საპენსიო სქემის დამფუძნებელი ვალდებულია სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს (შემდგომში – სამსახური) მოთხოვნისთანავე წარუდგინოს შემდეგი სახის ინფორმაცია:

ა) მზღვეველის და/ან საპენსიო სქემის დამფუძნებლის მიერ განხორციელებული საქმიანობიდან გამომდინარე შექმნილი სადაზღვევო რეზერვების ჩამონათვალი დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ განსაზღვრული დღისათვის არსებული ნაშთების მითითებით. აღნიშნული ინფორმაცია ხელმოწერილ უნდა იქნეს რეზერვის დათვლაზე პასუხისმგებელი პირის მიერ (სახელის, გვარისა და თანამდებობის მითითებით);

ბ) თითოეული სადაზღვევო რეზერვის დათვლის მეთოდოლოგია (დათვლის დროს გამოყენებული მონაცემთა ბაზის, კორექტირების კოეფიციენტების, მოკვდავობის ცხრილებისა და სხვა სტატისტიკური მონაცემების მითითებით);

გ) რეზერვის დათვლაზე პასუხისმგებელი პირის ვინაობა და თანამდებობა.

2. მზღვეველის სადაზღვევო რეზერვების მონაცემები აისახება მზღვეველის ფინანსურ ანგარიშგებაში და სტატისტიკური ანგარიშების შესაბამის ფორმებში, ხოლო საპენსიო სქემის დამფუძნებლის (რომელიც არ წარმოადგენს სადაზღვევო კომპანიას) რეზერვების მონაცემები აისახება სტატისტიკური ანგარიშგების შესაბამის ფორმებში და წარედგინება სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს ანგარიშგების ფორმების წარდგენის ვადების დაცვით.

3. „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „გ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფილიალი (წარმომადგენლობა) ვალდებულია მზღვეველის ყოველკვარტალური სტატისტიკური



ანგარიშგების ფორმების სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურში წარდგენის ვადებში სამსახურში წარადგინოს დამფუძნებელი სადაზღვევო ორგანიზაციის მიერ მოწოდებული წერილი, რომელიც ადასტურებს ფილიალის (წარმომადგენლობის) მიერ საანგარიშო პერიოდში აღებული სადაზღვევო ვალდებულებების შესაბამისი სადაზღვევო რეზერვების შექმნას, დამფუძნებელი სადაზღვევო ორგანიზაციის რეგისტრაციის ქვეყნის კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. ზემოაღნიშნული ფილიალი/ წარმომადგენლობა აგრეთვე ვალდებულია წარადგინოს სამსახურში დამფუძნებელი სადაზღვევო/გადაზღვევის ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგება. უკანასკნელის წარდგენის პერიოდულობა უნდა ემთხვეოდეს ამ ორგანიზაციის რეგისტრაციის ქვეყნის კანონმდებლობით განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის პერიოდულობას.

#### **მუხლი 4. სადაზღვევო რეზერვების სახეობები**

1. სადაზღვევო რეზერვების სახეობებია:

ა) არასიცოცხლისა და სიცოცხლის დაზღვევის სახეობებისათვის (გარდა სიცოცხლის დაზღვევის მაგროვებადი და დაბრუნებადი სახეობებისა და არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა);

ა.ა) გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი;

ა.ბ) განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი;

ა.გ) მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი.

ბ) სადაზღვევო რეზერვი სიცოცხლის დაზღვევის მაგროვებადი და დაბრუნებადი სახეობებისათვის (სიცოცხლის დაზღვევის რეზერვი);

გ) არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევის რეზერვი – საპენსიო ვალდებულებები.

#### **მუხლი 5. გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი**

1. გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი წარმოადგენს სადაზღვევო/ გადაზღვევის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სადაზღვევო პრემიის ნაწილს (მიუხედავად იმისა, გადახდილი არის თუ არა მზღვეველისათვის პრემია), რომელიც მიეკუთვნება მომავალ პერიოდებს.

2. გამოუმუშავებელი პრემიის სადაზღვევო რეზერვი გამოითვლება თითოეული სადაზღვევო ხელშეკრულებისთვის/პოლისისთვის შემდეგი ფორმულის შესაბამისად:

Pxt

UPR = -----

T

სადაც,

UPR– წარმოადგენს გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის ოდენობას;

P – წარმოადგენს სადაზღვევო პოლისით/ხელშეკრულებით გათვალისწინებული სადაზღვევო პრემიის ოდენობას. იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო პრემია პოლისში ასახულია უცხოურ ვალუტაში, მაშინ მისი ოდენობა წარმოადგენს ხელშეკრულების /პოლისის ძალაში შესვლის თარიღისათვის არსებული მიმდინარე ოფიციალური კურსით ეროვნულ ვალუტაში გადაფასებულ ოდენობას;

t – წარმოადგენს სადაზღვევო პოლისის/ხელშეკრულების ვადის დასრულებამდე დარჩენილ პერიოდს (გამოსახული დღეებში);

T – წარმოადგენს პოლისის/ხელშეკრულების მოქმედების მთლიან ვადას (გამოსახული დღეებში).

3. ზემოაღნიშნული ფორმულით გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის დათვლისას “დღე” გამოიყენება ვადის გამოსახვის ერთეულად.

4. გადამზღვეველის წილი გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში გამოითვლება გადაზღვევის ხელშეკრულებების შესაბამისად. ამასთან, გადამზღვეველის წილი ზემოაღნიშნულ რეზერვში არსებობს



მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არის შესაძლებელი მისი გამოთვლა თითოეულ სადაზღვევო პოლისთან/ხელშეკრულებასთან მიმართებაში. უცხოურ ვალუტაში ასახული გადამზღვევის წილის ოდენობის დაანგარიშებისას გამოიყენება უცხოურ ვალუტაში ასახული სადაზღვევო პრემიის ეროვნულ ვალუტაში გადაფასების პრინციპი ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

5. გადამზღვევის წილს გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში არ აკლდება მზღვეველის მიერ მისაღები გადაზღვევის საკომისიო.

6. მზღვეველის გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის მთლიანი ოდენობა წარმოადგენს თითოეული ხელშეკრულებიდან/პოლისიდან დაანგარიშებული გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვების ჯამს.

7. მზღვეველი ვალდებულია გამოითვლოს გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი ყველა ძალაში მყოფი სადაზღვევო ხელშეკრულების /პოლისისთვის.

### **მუხლი 6. განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი**

1. განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი იქმნება სადაზღვევო ორგანიზაციაში განცხადებული ზარალებისათვის, რომლებიც არ არის ან არასრულად არის ანაზღაურებული მზღვეველის მიერ.

2. განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვის შექმნა სავალდებულოა ცალკეული სადაზღვევო ხელშეკრულების/პოლისის ფარგლებში შემოსული ზარალის ანაზღაურებაზე განცხადების მიღებისთანავე.

3. განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებული ზარალების რეზერვის ოდენობა განისაზღვრება შემდეგნაირად:

ა) თუ მზღვეველს მიღებული აქვს განაცხადი სადაზღვევო პოლისით დაფარული შემთხვევის დადგომის თაობაზე, დადგენილი აქვს ზარალის საბოლოო ოდენობა და მიღებული აქვს გადაწყვეტილება, რომ ზარალი ექვემდებარება ანაზღაურებას, განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი იქმნება ასანაზღაურებელი თანხის ოდენობით;

ბ) თუ მზღვეველს მიღებული აქვს განაცხადი სადაზღვევო პოლისით დაფარული შემთხვევის დადგომის თაობაზე, მაგრამ გადაწყვეტილება ზარალის საბოლოო ოდენობაზე ან საერთოდ მის ანაზღაურებაზე ჯერ არ არის მიღებული, განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვის ოდენობა განისაზღვრება განცხადებული ზარალის დამადასტურებელ დოკუმენტებში (საბუთებში) აღნიშნული ოდენობის ფარგლებში. იმ შემთხვევაში, თუ მზღვეველს არ გააჩნია საკმარისი ინფორმაცია ზარალის საბოლოო ოდენობის შესახებ, განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებული ზარალის რეზერვის ოდენობა შეადგენს პოლისით დაფარული შემთხვევით გამოწვეული ზარალის გონივრულ მაქსიმალურ ოდენობას (არა უმეტეს შესაბამისი სადაზღვევო პოლისის სადაზღვევო თანხისა), რომელიც ეყრდნობა ამ სახეობისათვის დამახასიათებელ საშუალო მაჩვენებლებს და სადაზღვევო ორგანიზაციაში არსებულ სტატისტიკას;

გ) მზღვეველის მიერ კაპიტაციის მეთოდით გასაწევი ხარჯი წარმოადგენს სადაზღვევო ზარალის ნაწილს და ექვემდებარება დარეზერვებას განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვში მზღვეველის მიერ ამ ხარჯის გადახდამდე. ამასთან, რეზერვის ოდენობის დაანგარიშება ხორციელდება ყოველი კალენდარული თვის ბოლო დღისათვის დარიცხული ოდენობის შესაბამისად;

დ) თუ, ამ პუნქტის „ა“ ან „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული შემთხვევებისთვის, ზარალის გადახდის პერიოდი დამოკიდებულია დაზღვეულის სიცოცხლის ხანგრძლივობაზე, განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვის მიმდინარე ოდენობა გამოითვლება სადაზღვევო ორგანიზაციის მიერ განხორციელებული აქტუარული დათვლების შესაბამისად.

4. გადამზღვევის წილი განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვში გამოითვლება თითოეული განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალისათვის, მასთან დაკავშირებული გადაზღვევის ხელშეკრულების შესაბამისად, ასეთის არსებობის შემთხვევაში. გადამზღვევის წილი განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვში იცვლება მზღვეველის მიერ ზარალის ან მისი ნაწილის ანაზღაურების შესაბამისად. მზღვეველის მიერ ზარალის სრული ოდენობით ანაზღაურების შემთხვევაში, ამ ზარალთან დაკავშირებული გადამზღვევის წილი განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვში უდრის ნულს.

### **მუხლი 7. მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი**



1. მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი წარმოადგენს რეზერვს სადაზღვევო შემთხვევებით გამოწვეული იმ ზარალებისათვის, რომელთა დადგომის შესახებ განაცხადი საანგარიშო წლის დასრულებამდე მზღვეველს არ მიუღია.

2. მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვის გაანგარიშება და შექმნა ხორციელდება საანგარიშო წლის ბოლოს. აღნიშნული რეზერვის ჯამური ოდენობის შემცირება საანგარიშო წლის განმავლობაში ხორციელდება წინა საანგარიშო წელს/წლებში მომხდარი ზარალების ანაზღაურების ოდენობით მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების ჯამური ოდენობიდან იმ შეზღუდვის გათვალისწინებით, რომ გამოქვითვას დაქვემდებარებული ზარალების რეზერვი არ უნდა აღემატებოდეს ჯამური მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვს.

3. მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვის გაანგარიშება ხორციელდება დაზღვევის სახეობების მიხედვით და მისი გამოთვლისას საბაზისო პრემიად მიიჩნევა:

ა) არასიცოცხლის დაზღვევის სახეობებისათვის მზღვეველის მიერ საანგარიშო წელიწადში მოზიდული ნეტო პრემია (ერთ წელზე მეტი პერიოდით გაფორმებული სადაზღვევო ხელშეკრულებების ჩათვლით);

ბ) სიცოცხლის დაზღვევის სახეობებისათვის მზღვეველის მიერ საანგარიშო წელიწადში მოზიდული ნეტო პრემიის ნაწილი, რომელიც შეესაბამება ერთ სადაზღვევო წელს. ამასთან, ამ ხელშეკრულებებისათვის/პოლისებისათვის მომდევნო სადაზღვევო წლებში მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვის გაანგარიშებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას მოზიდული ნეტო პრემიის შესაბამისი ნაწილები.

4. მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვის ოდენობა ჯანმრთელობის დაზღვევის სახეობაში შეადგენს მე-7 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული საბაზისო პრემიის 2 (ორი) პროცენტს, ხოლო დაზღვევის სხვა სახეობისათვის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული საბაზისო პრემიის 5 (ხუთი) პროცენტს.

5. გადამზღვეველის წილი მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვში არ გამოანგარიშდება.

### **მუხლი 8. სადაზღვევო რეზერვი სიცოცხლის დაზღვევის მაგროვებადი და დაბრუნებადი სახეობებისათვის (სიცოცხლის დაზღვევის რეზერვი)**

1. სადაზღვევო რეზერვი სიცოცხლის დაზღვევის მაგროვებადი და დაბრუნებადი სახეობებისათვის (სიცოცხლის დაზღვევის რეზერვი) გამოითვლება მზღვეველის მიერ აქტუარული დათვლების საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს მზღვეველის მიერ თითოეული დაზღვეულის მიმართ ნაკისრ ვალდებულებას. ამასთან, გამოიყენება დათვლის „მოსალოდნელი“ (პერსპექტიული) მეთოდი, სადაც რეზერვის ოდენობა წარმოადგენს სადაზღვევო რეზერვის შექმნის მომენტისათვის აქტუარული მეთოდებით დათვლილი სადაზღვევო ვალდებულებების ღირებულებას.

2. სიცოცხლის დაზღვევის რეზერვის დათვლისას გათვალისწინებულ უნდა იქნას სადაზღვევო ხელშეკრულების შემდეგი სპეციფიკური პირობები:

ა) სადაზღვევო შემთხვევების დადგომით გამოწვეული მოსალოდნელი სადაზღვევო ანაზღაურებები;

ბ) სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში მზღვეველის მიერ გადასახდელი თანხები;

გ) სადაზღვევო ხელშეკრულების პირობების შესრულებისათვის მზღვეველის მიერ დაწესებული დამატებით ფულადი ანაზღაურება (ჯილდოს, წახალისების სახით და სხვა);

დ) მხარეების მიერ სადაზღვევო ხელშეკრულებების/პოლისების პირობების შეცვლის უფლება.

3. იმ შემთხვევაში, თუ მომავალი სადაზღვევო ვალდებულებების ღირებულების დათვლა პერსპექტიული მეთოდით შეუძლებელია, მზღვეველი ვალდებულია განახორციელოს დათვლები რეტროსპექტიული მეთოდით – მაგროვებადი და დაბრუნებადი სიცოცხლის დაზღვევის სახეობებში საქმიანობის გასული წლების შემოსავლებისა და გაცემული ანაზღაურების გათვალისწინებით.

4. მზღვეველი ვალდებულია სიცოცხლის დაზღვევის აღნიშნული სახეობების განხორციელების დაწყებისთანავე შეიმუშაოს რეზერვის დათვლის მეთოდოლოგია ამ მუხლის პირველი ან მე-3 პუნქტის შესაბამისად და წარადგინოს ის სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურში.

5. გადამზღვეველის წილი სიცოცხლის დაზღვევის რეზერვში გამოითვლება თითოეული დაზღვევის



ხელშეკრულებისათვის, მასთან დაკავშირებული გადაზღვევის ხელშეკრულების შესაბამისად, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

### **მუხლი 9. არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევის რეზერვი – საპენსიო ვალდებულებები**

1. საპენსიო დაზღვევის რეზერვი/საპენსიო ვალდებულება იქმნება თითოეული საპენსიო სქემისათვის, თითოეულ მონაწილესთან მიმართებაში არსებული საპენსიო დაზღვევის ხელშეკრულებისათვის, ამ ხელშეკრულების ყველა პირობის გათვალისწინებით.

2. საპენსიო დაზღვევის რეზერვის ოდენობა სქემებისათვის, სადაც განსაზღვრულია საპენსიო შენატანის ოდენობა, შეესაბამება ჯამურ საპენსიო ვალდებულებას მონაწილეების მიმართ.

3. საპენსიო დაზღვევის რეზერვის დათვლა სქემებისათვის, სადაც განსაზღვრულია გასაცემი პენსიის ოდენობა:

ა) საპენსიო დაზღვევის რეზერვის დათვლა სქემებისათვის, სადაც განსაზღვრულია გასაცემი პენსიის ოდენობა ხორციელდება დათვლის „მოსალოდნელი“ (პერსპექტიული) მეთოდით და რეზერვის ოდენობა წარმოადგენს სადაზღვევო რეზერვის შექმნის მომენტისათვის აქტუარული მეთოდებით დათვლილი საპენსიო ვალდებულებების ღირებულებას;

ბ) დაშვებულია მზღვეველის მიერ რეტროსპექტიული დათვლის მეთოდის გამოყენება, მათ შორის იმ შემთხვევებში, როდესაც საპენსიო შენატანების ოდენობა ან/და მათი გადახდის პერიოდულობა არ არის დაფიქსირებული საპენსიო სქემის პირობებში.

4. საპენსიო დაზღვევის რეზერვის ოდენობის ასახვა ხორციელდება სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ შემუშავებულ შესაბამის ფინანსურ და სტატისტიკურ ფორმებში, შესაბამის წესში მითითებული პრინციპების დაცვით.

